ხელშეკრულება 14

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „20" თებერვალი 2013 წ.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება" – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსიყდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია'' (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. „ მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. „დღე","კვირა","თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას,თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა შემთხვევა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, <u>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, საიდენტიფიკაციო კოდი 242741477, ქ.წალენჯიხა სალიას ქ #3,</u> მისი დირექტორის **დოდო კვარაცხელიას** სახით, (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორს მხრივ, **შ.პ.ს „გგ აუდიტ ჯორჯიას"** საიდენტიფიკაციო კოდი 204574175, ქ.თბილისი, გ.ცაბაძის ქ .№8ბ, სერთიფიკატი №5/485, რომელსაც წარმოადგენს დირექტორი **გოჩა გარუჩავა** (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 2012 წლის საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმების ჩატარება, მხარეთა მიერ დამოწმებული პროგრამის მიხედვით. <u>(ერთპირთან მოლაპარაკების საშუალებით).</u>

4.ხელშეკრულების ღირებულება

4.1.გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 1500 /ათასხუთასი/ ლარით კანონით გათვალიწინებული გადასახადების ჩათვლით.
4.2.მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ.წალენჯიხა, სალიას ქუჩა №3

5.მხარეთა უფლება–მოვალეობანი

5.1.მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმება მხარეთა მიერ დამოწმებული პროგრამის მიხედვით საბიუჯეტო დაწესებულებათა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და არაუგვიანეს 2013 წლის 19 მარტამდე, შემსყიდველს წარუდგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუდიტორული დასკვნა.

5.2.შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) გამოყოს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც მიმწოდებელს აღმოუჩენენ პრაქტიკულ დახმარებას და მისცემენ შესაბამის განმარტებებს;

ბ) მიმმწოდებელს შეუქმნას სათანადო სამუშაო პირობები: ცალკე ოთახი საჭირო აღჭურვილობით, ტელეფონით და სეიფით.

გ) მიმწოდებელს დროულად წარუდგინოს ბუღალტრული, საფინანსო–საბანკო დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში მათი ასლები, ელექტრონული ვერსიები.

დ) არ მიმართოს რაიმე ქმედებას, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მიმწოდებელს ობიექტური და მიუკერძოებული აუდიტორული მომსახურების ჩატარებაში.

ე) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3.მიმწოდებელი არ აგებს პასუხს იმ ინფორმაციის სისწორეზე, სისრულეზე, ბუღალტრული დოკუმენტაციის სიზუსტეზე, რომელსაც აწვდის შემსყიდველი.

5.4. მიმწოდებელი იძლევა მაღალპროფესიული მომსახურების გაწევის გარანტიას და შემსყიდველის მოთხოვნით პასუხს აგებს საკუთარ დასკვნებზე საქართველოს საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე.

5.5.მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება იქნება ხარისხიანი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაცული იქნება შემდეგი ეთიკური პრინციპები: დამოუკიდებლობა, პატიოსნება, ობიექტურობა, პროფესიული კომპეტენტურობა, კეთილსინდისიერება და კონფიდენციალობა.

6. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტების მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ.

7. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება კვალიფიციური, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

5.მხარეთა უფლება–მოვალეობანი

5.1.მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმება მხარეთა მიერ დამოწმებული პროგრამის მიხედვით საბიუჯეტო დაწესებულებათა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და არაუგვიანეს 2013 წლის 19 მარტამდე, შემსყიდველს წარუდგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუდიტორული დასკვნა.

5.2.შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) გამოყოს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც მიმწოდებელს აღმოუჩენენ პრაქტიკულ დახმარებას და მისცემენ შესაბამის განმარტებებს;

ბ) მიმმწოდებელს შეუქმნას სათანადო სამუშაო პირობები: ცალკე ოთახი საჭირო აღჭურვილობით, ტელეფონით და სეიფით.

გ) მიმწოდებელს დროულად წარუდგინოს ბუღალტრული, საფინანსო–საბანკო დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში მათი ასლები, ელექტრონული ვერსიები.

დ) არ მიმართოს რაიმე ქმედებას, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მიმწოდებელს ობიექტური და მიუკერძოებული აუდიტორული მომსახურების ჩატარებაში.

ე) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3.მიმწოდებელი არ აგებს პასუხს იმ ინფორმაციის სისწორეზე, სისრულეზე, ბუღალტრული დოკუმენტაციის სიზუსტეზე, რომელსაც აწვდის შემსყიდველი.

5.4. მიმწოდებელი იძლევა მაღალპროფესიული მომსახურების გაწევის გარანტიას და შემსყიდველის მოთხოვნით პასუხს აგებს საკუთარ დასკვნებზე საქართველოს საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე.

5.5.მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება იქნება ხარისხიანი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაცული იქნება შემდეგი ეთიკური პრინციპები: დამოუკიდებლობა, პატიოსნება, ობიექტურობა, პროფესიული კომპეტენტურობა, კეთილსინდისიერება და კონფიდენციალობა.

6. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტების მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ.

7. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება კვალიფიციური, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.